



## პროკლამაცია 46

ოცდაათი წელია თავს ვიტყუებთ, რომ დემოკრატიას ვაშენებთ. სინამდვილეში კი ავაშენეთ ველური ნეოლიბერალიზმის დიქტატურა. ქვეყანა, სადაც საერთო სიმდიდრე პრივატიზებულია, ხალხის ქონება - ბანკებისთვის გადაცემული, სადაც სახელმწიფოს მოხსნილი აქვს პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარებაზე, ადამიანების კეთილდღეობაზე.

ხელისუფლების ერთადერთ ამოცანად ცხადდება - ხელი არ შეუშალოს ბიზნესს, ვითომდა იმ საბაბით, რომ ბიზნესი თავად იზრუნებს ადამიანების დასაქმებაზე.

უკვე დავრწმუნდით, რომ ბიზნესის ამგვარი თავისუფლება ნიშნავს - ბანდიტი კომერციული ბანკების, იმპორტიორთა მონოპოლიების, მედიკამენტების, სამშენებლო კარტელების... მოკლედ - მაფიების განუკითხაობას. პირველ რიგში, ეს პოლიტიკა თავად მომავლის, მართლა თავისუფალი ბიზნესის წინააღმდეგაა მიმართული - იმ ახალგაზრდა, ნიჭიერი ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ხვალინდელ საქართველოში უნდა შექმნას ფაბრიკები და ქარხნები, კოოპერატივები, ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება, განვითარებული ინდუსტრია. რაც მთავარია - ესაა პოლიტიკა, რომელსაც არათუ განვითარების უზრუნველყოფა არ შეუძლია, არამედ ყველაფერს აკეთებს მის საწინააღმდეგოდ.

იმიტომ, რომ ის რაც ჩვენ გვინდა - სიმდიდრე ყველასთვის, და არა ერთეულებისთვის, კეთილდღეობა ხალხისთვის, და არა ელიტებისთვის - არ უნდათ თავად ამ ელიტებს. ისინი თითოეული ჩვენგანის განვითარებით და გამდიდრებით - კარგავენ ჩვენგან, ქვეყნისგან მოპარულ მილიარდებს.

ისინი ძალიან ცოტანი არიან, მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტი. მაგრამ ქონების უდიდესი ნაწილი, მთელი ძალაუფლება და გავლენები მათ ხელშია.

ფულის ბატონობის დამარცხება მხოლოდ ახალი, სხვა საქართველოს ხედვას შეუძლია, თუკი მას ხალხი გაიზიარებს. ჩვენ გვწამს, რომ ასეთი საქართველო შესაძლებელია.

როგორ?

კაცობრიობის ისტორიამ იცის ქვეყნების განვითარების მხოლოდ ერთი გზა. ეს გზა არც მოკლეა და არც გრძელი - ერთადერთია. მისკენ მიმავალი დროის შემოკლება მხოლოდ იმაზე დამოკიდებული, რამდენი ადამიანი მისცემს ხმას ამ გზას დღეს. ეს გზა არის - **ინდუსტრიალიზაცია**.

„განვითარებულ ქვეყანას“ მხოლოდ ერთი სინონიმი აქვს - „**ინდუსტრიული ქვეყანა**“.

ევროპისა და ამერიკის კლასიკური ინდუსტრიული სახელმწიფოები თუ ახალი ინდუსტრიალიზაციის ქვეყნები, რომლებიც ბოლო ათწლეულებში ეკონომიკური სასწაულების შედეგად გაჩნდნენ რუკაზე, განვითარდნენ ერთადერთი გზით - სახელმწიფოს მიზანმიმართული ძალისხმევით ქვეყანაში წარმოების აღორძინებისთვის.

ეს ეხება ყველა სფეროს - სოფლის მეურნეობას, ე.წ. ქალაქის დარგებს, ტექნოლოგიებს. მეტიც - არც ერთ სხვა სფეროში წინსვლა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ინდუსტრიის განვითარების გარეშე:

ერთადერთი გზა, აღვადგინოთ ჩვენს აფხაზ და ოს თანამოქალაქეებთან ერთობა, ესაა - შევთავაზოთ მათ ყველა სხვა პერსპექტივაზე მეტად მიმზიდველი რეალობა. ეს კი შეუძლებელია ინდუსტრიის განვითარების, შედეგად - ადამიანთა კეთილდღეობისა და ქვეყნის სიმდიდრის გარეშე.

შეუძლებელია განათლების თანამედროვე სისტემა ქვეყანაში, სადაც არავის სჭირდება ფიზიკოსი, ბიოლოგი, ინჟინერი, აგრონომი, და სადაც ყველაზე პრესტიჟული დარგები - ბიზნეს-მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმის ადმინისტრატორი და სხვა მსგავსი პროფესიებია.

არ იქნება კულტურაც, რადგან მაგალითად, თეატრს, უდავოდ სჭირდება სუბსიდირება, მაგრამ რაც პირველ რიგში სჭირდება - ესაა დასაქმებული ადამიანი, რომელსაც სულ ცოტა, კვირაში ერთხელ ბილეთის ყიდვის სურვილიც და საშუალებაც აქვს...

თვით ტურიზმიდანაც სარგებელი არ გვექნება, თუკი უცხოელი ინვესტორი სასტუმროს აშენებს უცხოეთიდან ჩამოტანილი მასალებით, თუკი ტურისტი რესტორანში იმპორტული ნედლეულით დამზადებულ „ქართულ“ კერძებს მიირთმევს და მაღაზიაშიც ყველაფერს იმპორტულს ყიდულობს.

## **ყველა ჩვენი პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა არის - ექსპორტზე ორიენტირებული ინდუსტრიის განვითარება სახელმწიფოს მიერ.**

მხოლოდ ამგვარად შეგვიძლია უზრუნველყოთ დასაქმება, ღირსეული შრომის პირობები და ანაზღაურება ყველასთვის, შევქმნათ პროდუქციის სიუხვე, პირობები უფასო ჯანდაცვისა და განათლებისათვის, ხელმისაწვდომი ბინათმშენებლობისათვის, ღირსეული პენსიებისათვის, ემიგრანტთა დაბრუნებისათვის... მხოლოდ ასე დაიძლევა ქვეყნის 30-წლიანი ჩამორჩენილობა, შედეგად - თავს დავადწევთ სიღარიბეს, სიდუხჭირესა და უთანასწორობას.

### **ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი, რომლებიც ამ მიმართულებით უნდა გადაიდგას:**

დაარსდეს **ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრო**, რომლის მიზნებიცაა: წარმოების ყველა მიმართულების განვითარების ხელშეწყობა (დაგეგმარებით, კვლევებით, სპეციალისტებით უზრუნველყოფით და ა.შ.) და ამავე დროს, შიდა და საერთაშორისო ბაზრების განვითარება / მოპოვებაზე ზრუნვა.

დაარსდეს **საქართველოს განვითარების სახელმწიფო ბანკი** ორი ძირითადი - აგრარული და ინდუსტრიული დეპარტამენტით, რომელიც გრძელვადიან, დაბალპროცენტთან სესხებს გასცემს (მაგ. 20 წლიან სესხს 1 ან 2 %-ით) სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოების, ინოვაციების მიმართულებით.

დაარსდეს და პირველი ხუთი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსდეს **მუნიციპალური მასშტაბის მსხვილი და მრავალდარგობრივი კოოპერატივები**, რაც ნიშნავს - თითოეული გლეხისა და ფერმერის უზრუნველყოფას ტექნიკით; ასევე - აგრონომის, ვეტექიმის, ტრაქტორისტის და ა.შ. მომსახურებით... სახელმწიფო გადასცემს ადამიანებს მიწას, ქმნის ინფრასტრუქტურას, უზრუნველყოფს მოსავლის რეალიზაციას და თუ საჭიროა, თავად აშენებს გადამამუშავებელ საწარმოებს ყველა მუნიციპალიტეტში.

დაწესდეს **პროგრესული გადასახადები** - სისტემა, რომელსაც მთელი ცივილიზებული კაცობრიობა იყენებს. ეს ნიშნავს: მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეუმცირდება გადასახადები; მცირე ნაწილს დარჩება იგივე, და მხოლოდ უმდიდრეს 2-3 %-ს - გაეზრდება. ეს აჩენს დამატებით შემოსავლებს, რომლებიც ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დახმარებისკენ უნდა მიიმართოს.

ეს ჩვენი ვრცელი, ყოვლისმომცველი პროგრამის მხოლოდ ნაწილია, მაგრამ საკმარისი იმის გასაგებად, თუ რა მიმართულებას გთავაზობთ.

დღეს პროპორციულ საარჩევნო სიებში **46** ერთადერთია, ვისაც განვითარების ალტერნატიული ხედვა აქვს. ჩვენ ვართ როგორც ოცნების, ასევე ნაცების, მათი დაშლის პროდუქტების, ბანკირებისა თუ ფარმაკოლოგიური მაფიების პარტიათა ალტერნატივა. ჩვენ დღეს შესაძლებელზე, და საჭიროზე ცოტანი ვართ, რადგან ჩვენთვის დახურულია წამყვანი ტელევიზიები, დაფინანსების წყაროები... ჩვენ ვერ, და არ დაგირიგებთ ფქვილს და კარტოფილს, არ მოგატყუებთ, რომ ამა და ამ პერსონის პრემიერად არჩევით უცბად, ან ოდესმე სამოთხეში მოვხვდებით და ა.შ.

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ თუკი თითოეულ თქვენგანთან საუბარს, ჩვენი ხედვის თქვენამდე მოტანას შევძლებთ, ჩვენ ერთად ვიქნებით უმრავლესობა, რომელიც ამ ხედვას რეალობად აქცევს.

თუ ამ მიდგომებს იზიარებთ, ან თვლით, რომ ისინი იმსახურებენ ადგილს საჯარო სივრცეში, გაუზიარეთ იგი სხვებსაც... ესაუბრეთ სხვებს ამ ხედვაზე. თუკი თქვენ, ნაცვლად 30-წლიანი ნეოლიბერალური დიქტატურის უვადოდ გაგრძელებისა, ხმას ამ პერსპექტივას მისცემთ, ჩვენ ყველანი შეიძლება გავხდეთ იმ სასწაულის მომსწრენი, რომელიც სხვა - განვითარებულ, მდიდარ, ძლიერ საქართველოს დაუდებს სათავეს.

## **სხვა საქართველო შესაძლებელია!**